

გ ე ს ა ვ ა ლ ი

ამ წიგნაკის გამოცემა გამოწვეულია იმ უჩვეულო გარემოებით რომელიც მხოლოდ ქართულ ხელოვნების ცხოვრებას ახასიათებს. საქართველოში, ყოველი მნიშვნელოვანი მოვლენის ირგვლივ, განსაკუთრებით ხელოვნებაში, იქმნება დიდი აღნიშვნი, ხმაური გატაცება, საბოლოოდ-კი ყველაფერი ქრება, დავიწყებას ეძლევა და საჭმე არ კეთდება. მოზარდ თაობას არ უგროვდება სამოქმედო მასალა. ასეთ პირობებში, რაიმე კულტურულ წინმსვლელობაზე ლაპარაკი პროვინციალურ თავმოყვარეობის მეტს არას ნიშნავს. ეს გარემოება ხელშესახებად არის საგრძნობი მხატვრობაში. ჩვენში საერთოდ, მხატვრობა მიგდებული ადგილი იყო გასაბჭოებამდე. გასაბჭოების შემდეგ შეიქმნა მასიური ინტერესი მხატვრობისადმი. მოეწყო მრავალი, მეტად მნიშვნელოვანი გამოფენა. მიეცა მხატვრებს სამოქმედო ასპარეზი, მაგრამ არც გამოფენების, არც კერძო მხა-

ტვრის და არც თვით მხატვრული ცხოვრების გასაშუალებლად თითქმის არ დაბეჭდილა არც ერთი, საჭმიანი და მასალად გამოსაღები წიგნი. ასეთივე მდგომარეობა არსებობს დღემდის, ფიროსმანაშვილის შემოქმედების გარშემო. ფიროსმანაშვილი უკვე ცნობილია, როგორც უდიდესი და უნიჭიერესი ქართველი მხატვარი. სახელგამმა გამოსცა მეტად ძვირფასი მონოგრაფია, რომელიც როგორც ფასით ისე ტირაუით მიუწდომელია უმრავლესობისათვის (ერთი წიგნი ღირს 20 მან.). თვით ფიროსმანაშვილის შემოქმედების ირგვლივ, მიუხედავად იმ დიდი ხმაურისა, რომელიც პირველ ხანებში გაიმართა, არ დაწერილა და არ გამოცემულა არც ერთი წიგნაკი მასიურ მკითხველისათვის. დღესაც გაუგებარია თუ რითია მნიშვნელოვანი ნიკო ფიროსმანაშვილი და საერთოდ რითი დაიმსახურა ის ყურადღება, რომელსაც იჩენს უცხოეთი, აღტაცებული მისი შემოქმედებით. ბოლოს, ძალიან ბევრმა ისიც კი არ იცის თუ ვინ იყო ნიკო ფიროსმანაშვილი და როგორ პირობებში უძებოდა მას მუშაობა. ამიტომ მე ღავისახე მიზნათ, ამ ბროშურის საშუალებით მივცე მასიურ მკითხველს ელემენტარული ცნობები ნიკოს ვინაობის და შემოქმედების შესახებ. ამით ვცალე იმ უჩვეულო გარემოების დაძლევა რომელიც ზემოთ მოვიხსენიე.

თიროსმანიშვილის უფრო თართოდ გაცნობის
მიზნით წიგნაკში მოვათავსე მისი სურათების სრუ-
ლი კატალოგი. კატალოგში აღნიშნული სურათების
ნაწილი დაკარგულია, მეორე ნაწილი სხვადასხვა
რესტორანების და სამიკიტნოების კადლებზეა შეს-
რულებული, დანარჩენი ინახება კერძო ოჯახებში
და უმეტესი ნაწილი კი საქართველოს ეროვნულ
გალერეიაში *).

მკითხველი ალბად გაკვირვებულია იმ გარემოე-
ბით, რომ დიდი ოსტატის, ნიკოს, გვარს ისე არ ვი-
სესენიებ, როგორც ეს დღემდე იყო მიღებული და
ცნობილი. თიროსმანიშვილის ნაცვლად ვწერ თი-
როსმანაშვილს, მაგრამ გასაკვირვალი მხოლოდ ის
არის, თუ როგორ ზერელედ და უსაფუძვლოდ ხდე-
ბა ზოგჯერ, უკვე ნათელი და გასაგები მასალის და-
მახინჯება. ვნახოთ:

*) ქართული ხელოვნების დაუდგრომელ მუშაკს, ეროვ-
ნულ გალერეის შმართველს მხატვ. დ. შევარდნაძეს, უკვე
სისტემაში მოუყვანია თიროსმანაშვილის სურათები, გაუმარ-
თავს და დაუმზადებია ევროპაში გასაგზავნათ გამოფენისა-
თვის. ეს საჭმე მოითხოვდა თავდადებულ მუშაობას, რისთვი-
საც მხ. შევარდნაძეს უნდა გამოეცხადოს საზოგადოებრივი
მაღლობა.

გამოფენის შემდეგ, როგორც გადმოგვცა დ. შევარდნა-
ძემ, თიროსმანაშვილს დაეთმობა მთელი ოთახი ეროვნულ
გალერეიაში.



არის ხელმოწერილი და რომ არც ერთ სურატს პრეზენტირებია ფიროსმანიშვილი! ყველგან გარკვეულად და ნათლად არის მიწერილი: „ნ. ფიროსმანაშვილი“. სანამ ამ ხელმოწერას გააუქმებდეს ვინმე, ჯერ უნდა დაამტკიცოს რომ, ნიკომ თავისი გვარი არ იცოდა, რაც ცხადია დაუჯერებელი ამბავი იქნება, მანამდის კი ასე უხეშად ჩადენილი შეცდომა უნდა გამოსწორდეს. ნიკოს გათავაღებაზე ხელი უნდა ავილოთ. სასალხო მხატვარი თავისი ნამდვილი გვარით უნდა დარჩეს.

ეხლა რამოდენიმე სიტყვა თვით ნიკოს ვინაობის შესახებ:

ნიკო ფიროსმანაშვილის ცხოვრება.

თუ ნიკოს გვარს შემთხვევითი გაუგებრობა გადაეფარა, სამაგიეროდ მისი ცხოვრება სრულიად გამოურკვეველია და შეუსწავლელი. ის რაღაც თორმეტიოდე წელიწადი, რომელიც ჩვენ გვაშორებს აეხედვის უდიდეს ოსტატს, საუკუნეებად. მოსჩანს.

პირდაპირ. დაუჯერებელია იმ ფაქტიური მასალის სიმცირე, რომელიც მოგვეპოება ნიკოს ცხოვრების ირგვლივ.

ამ მასალების მიხედვით ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ნიკო დაბადებულა კახეთში, ს. მირზაანში (ქა-



ფილოსოფანიური თუ ფილოსოფაური

დაუშვებელი ატავი დამართა ნიკოს გვარს სიც-
ყვის ფონეტიური ესტეტიზმით დაავადებულმა ხალ-
ხმა. ფიროსმანაშვილის გლეხური გვარი არ მოიწო-
ნეს და „გაათავადურეს“, გადააკეთეს ფიროსმანა-
შვილად, ზოგიერთ შემთხვევაში კი ფიროსმანად.

ამ ყოვლად გაუმართლებელ ამბავს ვიღაც დურ-
გალის პაპიაშვილის გამოკვლევით ასაბუთებენ. ეს
უკანასკნელი, როდესაც იას შეეკითხენ, ასე განმარ-
ტავს ფიროსმანაშვილის გვარს: — აღმოსავლურად
„ფირი“ ნიშნავს ხელობას და „მანი“ — კი კაცს, ასე
რომ ფიროსმანი „ხელობის კაცი“ ყოფილა-ო ასკუ-
ნის ნიკოს ბიოგრაფიული ცნობების ავტორი *). ეს
მოუფიქრებელი განმარტება, რასაკვირველია, საყუ-
რადლებო არაა. ასე რომ ვიმსჯელოთ თითქმის ყო-
ველი ქართული გვარი უნდა შეიცვალოს. გარდა ამი-
სა არც ერთ ქართულ გლეხურ გვარში, რომელიც
აღამიანის სახელიდან არის წარმოებული „ა“ „ი“-თი
არ იცვლება. ამაშია დიდი თავისებურება. ამასაც
რომ თავი დავანებოთ, რა საბუთი გვაქვს არ ვენ-
დოთ თვით ნიკოს, რომელმაც სამასამდე სურათი
დაგვიტოვა. მათი უმრავლესობა ხომ ავტორის მიერ

*) „ნიკო ფიროსმანიშვილი“, სახელგამის გამოცემა.

ზიყის გაზრა) დაახლოებით 1863 წ. შვილი წლისას
გადაცვლია მამა. დაობლებული ნიკო, სხვა შვილებით
თან ერთად, წამოუყვანია დედას თბილისში. მოკ-
ლე ხნის განმავლობაში დედაც მოჰკვდომია და
სრულიად დაობლებული და უთვისტომოდ დარჩე-
ნილი მომავალი მხატვარი, დარჩენილა თბილისში,
მარჯო. თავის ანაბარა. შემდეგ, თუ როგორ გადაი-
ტან: ობლობა და რა პირობებში გაატარა ბავშობა
ან ვიცით. გადის დრო და ნიკოს თბილისში ვხე-
დავთ ჸან კონდუქტორად რკინის გზაზე, ხან მოვაჭ-
რავ (რძიო) სხვადასხვა ამხანაგებთან. ვაჭრობაში
უნარი ვერ გამოუჩენია, რაც აღვილი წარმოსადგე-
ნია ჩვენთვის, და მალე ამ ხელობისათვის თავი მიუ-
ნებებია.

ამასობაში მას, სახელი გაუთქვამს მხატვრული
ოსტატობით და ყველა სამიკიტნოებში უკვე იცნობ-
ლინ „მხატვარ ნიკალა“-ს.

ჩვენ არ ვიცით, შეემთხვა თუ არა ნიკოს სა-
ქართველოს გარეთ ყოფნა. ვიცით მხოლოდ, რომ სი-
ცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ის ტრიალებდა
საქართველოში, უმთავრესად თბილისში, მდაბიო
ხალხში. ხატავდა იმას რასაც სედავდა, უმთავრესად
კი იმას რაც თანტაზით ეჩვენებოდა.

მორცევი, გულკეთილი, ხათრიანი და მარტონიანი
ბას მოყვარული (უცოლშვილოდ გადავიდა) დაღიო-
და ყველასაგან შეუმჩნეველი. ასე კენტად გაატარა
თავისი გაწვალებული სიცოცხლე და მოკვდა ისე,
რომ ჟასი ვერ მიიღო იმ უმაგალითო ტანჯვისათვის,
რომელიც განიცადა მხატვრობაში შეყვარებით. მხო-
ლოდ სამარის კარზე მისულს მიუსწრო დაუასებამ.

თუ როგორ გაწამებული პქონდა ყოფა და რა
დიდ ბუნოვანი იყო თავისი ინტელექტით — ამის
დასახასიათებლად ორი მოგონება არსებობს. ერთი
ეკუთვნის მხატვა. ლადო გუდიაშვილს რომელმაც
ქართველ მხატვართა საზოგადოების დაჭალებით
ინახულა ნიკო, და მეორე მეჩექმეს, არჩილ მაისუ-
რაძეს. ჩვენ ამ ორივე მოგონებას უცვლელად მოვი-
ყენთ საიდანაც მკითხველი ნათლად დაინახავს თუ
რა პირობებში ცხოვრობდა და მოქმედობდა ქარ-
თული ახალი მხატვრობის უნიჭიერესი დამწყები.

მხატვა. ლადო გუდიაშვილი: *)

„ნიკო ფიროსმანი იყო მაღალი ტანისა, შეჭალა-
რებული და უკან გადავარცხნილი თმებით. მის
მკრთალსა და მოტეხილ სახეს თან სღევდა იერი რა-

*) „ნიკო ფიროსმანიშვილი“, სახელგამის გამოცემა.

სხვას ლაპარაკობთ, — ამბობდა იგი წყნარად
ჩუქმად:

შემდეგ სხდომაზე ფიროსმანიშვილი არ გამო-
ცხადებულა. ცხოვრობდა როგორც ვიცით, საღლაც
ღიღუპეში, მაგრამ ვერავინ შეჰქვდა... გაიარა წე-
ლიწადმა. ფიროსმანიშვილი გაქრა და მის შესახებ
არავინ არაფერი იცოდა და არც არაფერი ისმოდა.

მხატვართა საზოგადოების ერთ-ერთ სხდომაზე
გამოტანილი იყო დადგენილება, აღმოეჩინათ ხელ-
ვიწრო წევრებისათვის მატერიალური დახმარება.
გადასწყდა ნიკო უიროსმანისთვის დახმარება. 200 შა-
ნების სახით.

თულის გადაცემა მომანდვეს მე. მივიღე თული
და დავიწყე ფიროსმანიშვილის ძებნა. დაახლოებით
ვიცოდი, სად ცხოვრობდა ის ამ დროს. შემთხვევით
მივაგენი ბინასაც და შევედი ეზოში.

საღ ცხოვრობს აქ მხატვარი ფიროს შინი უკი-
ლი. — ვეკითხები ეზოში მოთამაშე ბავშვის მიჩვე-
ნებენ კიბის ქვეშ მოქცეულ სარდაფს.] დავაკაუნდა
თვითონ ნიკო გამოჩნდა.

— ვინ გნებავთ. მეკითხება.

— ბატონი ფიროსმანიშვილი.

— მე ვარ, გთხოვთ... — გაალო კარები. დავი-
ლუნე და შევეღი. უეცრად შემაჩერა და მკითხა:

ღაც კულტურული სიმბილისა და სიწყნარისა, წევრი
ჰქონდა მოკრეჭილი და ულვაშები ქვევით დაშვე-
ბული. ეცვა ნაცრისტერი ფიჯაკი, სქელი, ჭუჭყიანი
და საღებავებით მოთხვრილი შარვალი. ერთი სიტ-
ყვით ჩვენს თვალწინ იდგა უღარიბესი უბნის მცხოვ-
რები, გატეხილი და დაბეჩავებული „ბოსიაკური“ და
ლოთური ცხოვრებით.

მახსოვს ერთხელ შევიყვანეთ მხატვართა საზო-
გადოების კრებაზე. გულზე ხელებ დაჯვარადინე-
ბული იჯდა და გაყინული, გაქვავებული ერთ წერ-
ტილს მისჩერებოდა. მისი სახე გამოსახავდა ფარულ
სიხარულს და დიდ გაკვირვებას. ასე იჯდა ის მთელი
სხდომის განმავლობაში და ხმა არ ამოუღია.

სხდომის გათავების შემდეგ მას შემოეხვიენ მხა-
ტვრები და დაუწყეს გამოკითხვა. პასუხს იძლეოდა
მოკლედ. ლაპარაკობდა ცოტას. დაინტერესდა ორა-
ტორებით.

— ჰო და, რა გვინდა, ძმებო, იცით, — განაგრ-
ძობდა ნიკო, — უსათუოთ საჭიროა ავაშენოთ დიდი
ხის სახლი საღმე, ქალაქის შუაგულში, რომ ყველა-
სათვის იყოს ახლო, ავაშენოთ დიდი სახლი, რომ
შევიყარნოთ ხოლმე. ვიყიდოთ დიდი სტოლი და სა-
მლვარი, ვსვათ ჩაი, ბევრი ვსვათ და ვიღაპარაკოთ
ხელოვნებაზე, თქვენ კი არ გინდათ, თქვენ სულ



— როგორ მოხვედით, როგორც მტერი, თუ როგორც მოყვარე. — და თან მიყურებს არაჩვეულებრივი თვალებით.

— ხომ არ გაგიჟდა. — გავითიქრე გულში.

— არა — ვუპასუხე მე — თქვენც მხატვარი ხართ და მეც. რა მტერი უნდა ვიყო მე თქვენი, მე გულიაშვილი ვარ, არ გახსოვთ.

დიახ, დიახ, — დაიწყო მან თითქო ცახცახით — ვთხოვთ მობრძანდეთ, ვთხოვთ, ლადო, არა.

— დიახ, — ლადო.

— დაპრძანდით, ძმობილო. აი, ასე, ეს არის ჩემი ოთახი, როგორც ხედავთ. ო, რომელია თქვენი სახელი ლადო. დიახ. ლადო. შეიძლება წყალი დალიოთ. ღაასხა და მომიტანა წყალი ჭიჭით. — ბოლიშს ვიხდი, რომ ლიმონათი არა მაქვს.

მე უკვე მოვასწარი მისი ოთახის დათვალიერება: იგი კიბის ქვეშ იყო მოთავსებული. პატარა, რამოდენიმე ნაბიჯი სიგრძით და სიგანით. დგომა შეუძლებელი იყო. კუთხეში იღვა ლოგინი ჭუჭყიანი ქვეშაგებით. კედელზე პატარა კოლოფი იყო მიკრული. ეს იყო მისი „შკათი“, მეორე კუთხეში დაყრილი იყო სხვადასხვა ხელსაწყო მღებარისა და მხატვრის: ვედრო, კლიონკა, საღებავი, უუნჯები და სხვ.

— თქვენ იცნობთ ძმებს ზღანევიჩებს. — მკითხა
მან უეცრად. — მათ ბევრი სურათები აქვთ ჩემი. შე
ბევრს ვმუშაობდი, ტფილისის სარდაფები ჩემით
არის მოხატული. ამით ვცხოვრობ... შეიძლება თქვენ
მიირთვათ რამე. იქნება პური. აი, გთხოვთ, — და
გამოილო „შკათიღან“. ხმელი პურის ნაჭერი. მე მაღ-
ლობელი დავრჩი და უარი უთხარი.

— ასე, ასე, ჩემო ძმობილო, ძვირთასო ლადო,
როგორ გეძახიან თქვენ. ლადო, არა. ო, ლადო...

გაჩერდა, ჩატიქრდა, უეცრად აიჭრა. დაიწყო რა-
ღაცის ძებნა. კუთხეში მონახა გაქონილი წვირიანი
ქაღალდი.

— ხედავთ. — გაშალა „სახალხო ფურცლის“
ნომერი, საღაც მისი სურათი იყო მოთავსებული. —
ჩემი პორტრეტი. მე გაღამილო ვიღაც გოგოლაშვილ-
მა და შემდეგ გაზეთში მოათავსა.

მე ვუთხარი, რომ სურათი ნახული მქონდა. —
ეხლა რაზე მუშაობთ თქვენ. — ვეკითხები მე.

— არათერს არ ვაკეთებ. ვასრულებ მხოლოდ
შენაკვეთს რესტორანში... სიღარიბეში ვცხოვრობ
აგრე. ხან შატყუებენ და ხან არ მაძლევენ ფულს.

ამოვილე ფული და გაღავეცი. ისიც ვუთხარი
ვისგან იყო.

შეჩერდა და გაოცებული გაქვავდა, აღარ შეეძლო ლაპარაკი. არ იცოდა როგორ გადეხადა მადლობა. — ცოტა არის, — ვუთხარი მე, — მაგრამ როგორმე იოლას გადი, ამ უულით შეიძლება პატარა ხნით ცხოვრება, იყიდეთ საღებავები. — ავდეჭი, მოვემზადე წამოსასვლელად. — რა არის ეს კუთხეში. — ვეკითხები.

— საღებავები, ჩემო ძმაო, მუშაობა ასე უნდა. თქვენ კი კოსტიუმებში და გალსტუკებში მუშაობთ და გოლოვინის პროსპექტზედაც დასეირნობთ, — არა, ასე არ შეიძლება, უნდა ჩაიცვა ძველი ფართუკი, აანთო ლამპა და მოაგროვო ჭვარტლი, უნდა დაფქვა ფეხით კირი და გააკეთო უმარილი, აიღო დიდი ფუნჯი და შეღებო კედლები თეთრი, ან შავი ფერით, ძირიდან ჭერამდე.

— ძმაო ლადო. თქვენ ლადოს გეძახიან, არა. ო, ასე კარგია. ძლიერ კარგია. — ჩვენ ვიდეჭით. — მაშ როგორ უნდა მოვიქცეთ ახლა ჩვენ, ავაშენოთ სახლი თუ არა... ავაშენოთ და შევიკრიბნეთ იქ. ვიქნებით ერთად, თორემ რა არის ეხლა:

დახატავ სურათს, წაიღებ სარდათვში, გასმევს, დაგალევინებს მისი პატრონი და სურათს კი დაიტოვებს, და ასე ყოველთვის.

— რაზე მუშაობთ თქვენ ეხლა.



- არათერს ისეთჭე. აი ეს არის რაღაც. ~~უკანონო~~
ჩვენა სურათები: „ლომი“ და „თამარ დედოფა-
ლი“. — აქ ბავშები მიშლიან ხელს. ყვირიან და ქვებს
ისვრიან თანჯრებში, მაწვალებენ უღმერთოდ.
- მაშასაღამე თქვენ მიღიხართ. წავიდეთ.
- იცი, რა. — სთქვა მან ჩუმაღ, წავიდეთ
სარდაფში, დავლიოთ. მე ვუთხარი, რომ ღვინოს არ
ვსვამ.
- ლიმონათი მაინც დალიეთ.

უარი ვუპასუხე. გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს
და დავბრუნდი სახლში. მას აქეთ დიდხანს ვეღარ
შევხვდი, ვეძებდი, ვიყავი სახლშიაც. მაგრამ ვერ მო-
ვუსწარი. ვერ ვნახე ვერც სარდაფში.

გავიდა რამდენიმე თვე უკანასკნელ შეხვედრის
შემდეგ. თითქმის წელიწადი. ჩვენმა საზოგადოებამ
კიდევ გადასდო. დახმარება ღარიბ მხატვართა სა-
სარგებლოდ. ფიროსმანიშვილისთვის გაღმომცეს და-
ახლოვებით 300 მანეთი. წავედი ისევ მასთან. მაგრამ
ოვის ოთახიდან გადასულიყო. უკანასკნელში პატა-
რა დუქანი იყო მოთავსებული და წინანდელ მობი-
ნადრის შესახებ არათერი იცოდნენ. რამდენმამე ბავ-
შმა იკისრა ფიროსმანიშვილს მოძებნა. გავყევი მათ.
შემოვიარეთ დიდუბე.

დიღხანს არ დაგვინახავსო, გვიპასუხებდნენ შე-
კითხვაზე მეღუქნები, რესტორანის პატრონები! ვე-
რაფერი გვითხრეს სამისამართო მაგიდაშიაც. მას
შემდეგ ნიკო ფიროსმანი სამუდამოდ მიიკარგა.

ნიკომ თავისი წუთისოფელი, სადღაც, დიღუბის
მიგდებულ აღგილებში დალია, მაგრამ როდს მოკვ-
და, რა პირობებში, ან ვინ დამარხა, ეს არავინ იცის“.

ჩვენის უიქრით, ამ მეტად მნიშვნელოვან აღწე-
რას განმარტება არ სჭირდება. ყველაფერი ნათლადაა
მოცემული. უკვე ცხადია თუ როგორ უნდა დაბო-
ლოვებულიყო ასეთ „სოფლის გაღმა გაბიჯებული“
ადამიანის უკანასკნელი დღეები და ამ უკანასკნელ..
დღეების მოწამე, ვინმე მეჩექმე არჩილ მაისურაძე,
ასე იგონებს:

ნიკო ფიროსმანს მე წინადაც ვიცნობდი. ოთხი
წლის წინად, როცა მე ამ სახლების მოურავი ვიყავი,
ნიკოლა აქვე აბაშიძის სირაჯხანაში ხატავდა სურა-
თებს. უკანასკნელად სმისაგან გამხდარიყო ავად და
ჩასულიყო სარდაფში. იწვა ნესტიანსა და ბნელ
იატაკზე. ორი-სამი დღის შემდეგ შემთხვევით ჩავე-
ლი და დიდ სიბნელეში წავაწყდი მას.

კვნესოდა მწარედ. მე ვერ ვიცანი და შევსძახე.

— ვინა ხარ მეთქი.

— მე ვარო, და მაშინვე ხმაზე ვიცანი ნიკოლაი.

შან კი ვეღარ მიცნო.

მხოლოდ ეს მითხრა: ცუდათ გავხდიო.

სამი დღეა აქ ვწევარ და ვეღარ ავდექიო.

მე მაშინვე ფაიტონი მოვიყვანე და რაკი მე არ
მეცალა, ეტლში ჩაუჯდა განსვენებული ილია ან-
დრიას ძე მგალობლიშვილი და წაიყვანა არამიანცის
სავადმყოფოში. ნამდვილად არ ვიცი, მართლა იქ
მიიყვანა, თუ მიხეილის სავადმყოფოში, ეს კია რომ,
კაცი დღე ნახევარში გათავდა. არავითარი ნივთი არ
დარჩენია“.

ასეთ პირობებში დალია სული ახალი მხატვრო-
ბის მტკიცე საფუძველის ჩამყრელმა და ფერების
საოცარმა ოსტატმა. ეს მოხდა 1918 წელს.

დღესაც არ ვიცით საღ არის მისი სამარე.

სიკვდილის შემდეგ ნიკოს სახელი, როგორც
მხატვრის, ისე გაიზარდა რომ, დღეს სახელგამის გა-
მოცემებში უძვირულასეს გამოცემად ნიკოს მონო-
გრაფია ითვლება.

საერთო გატაცების პირველ პერიოდში დიდად
აღტაცებული წერილები იწერებოდა ნიკოს შემოქ-
მედების შესახებ.

ეს გატაცება იქამდე გაფართოვდა, რომ ბევრი
არა მხატვარი მოვალეთ სთვლიდა თავის თავს ალ-
ლუმში ჩამატებულიყო. ცხადია, ასეთ შემთხვევების

დროს უფრო შეტი ყურადღება ექცევა შემთხვევის, წარმავალს და სენსაციურს. ამიტომ, ამ უარის ცების დროს, ნიკოს შემოქმედებაზე ძალიან ცოტა რამ ითქვა არსებითად. მხოლოდ ეხლა, როდესაც გატაცება მინელდა,—დგება დრო შეუდგეთ ფირო-სმანაშვილის მხატვრული ღირებულების შესწავლას და შეფასებას. ეს მით უფრო საჭიროა, რომ მხატვ-რობით დაინტერესებულმა ხალხმა და განსაკუთრე-ბით ახალგაზრდობამ, ჯერ კიდევ არ იცის თუ რი-თია ნიკო დიდი ან გენიალური. ამიტომ შევეცდება, რამდენადაც კი მოსახერხებელი იქნება, მოვათავსო ამ პატარა წიგნაკში სიღილის ის მთავარი საფუძვე-ლი რომელზედაც არის აგებული ფიროსმანაშვილის ოსტატობა.

ხელვის ოსტატი.

ხელოვანთა წრეებში ორი აზრი ტრიალებს. ზო-გი ნიკოს არა სცნობს, ზოგი მის გენიალობას ამტკი-ცებს.

ჩემი ფიქრით ასეთი დაპირისპირება სიმართლეს არაა მოკლებული. მართლაც, ნიკოს შემოქმედების ღირებულებაზე საშუალო აზრით დარჩენა შეუძ-ლებელია. ან უნდა მივიღოთ როგორც ჩვეულებ-რივი მღებავი აბრების და სამიკიტნოს კედლების,

ან დავინახოთ მასში დიდი ოსტატი ხელვის და  ტვრობის.

მაგრამ, ამასთანავე ერთად, ვინც ერთხელ დაკვირდება ფიროსმანაშვილის სურათების კომპოზიციას, ფერების არაჩვეულებრივ და გასაოცარი გემოვნებით შეხამებას, ის უთუოდ მოკლებული უნდა იყოს მხატვრულ გემოვნებას რომ ფიროსმანაშვილში დაინახოს ჩვეულებრივი მღებავი აბრების, სამიკიტნოების კედლებისა და, მეტი არაფერი.

ოთვესაც ნიკოს შემოქმედებას ვეხებით მუდან უნდა გვახსოვდეს, რომ ხშირად მისი მხატვრული გემოვნება შემკვეთელის გემოვნებით ისაზღვრებოდა რაღაც ამას მოითხოვდა მისი გასაწყლებული მდგომარეობა.

„ნიკო-ჯან, ჩემი ხათრისათვის ერთი კურდლელიც მიახატე აი აქ, კარგი იქნება“ ურჩევს მიკიტანი. ნიკომ იცის რომ კურდლელი არ არის საჭირო ამ სურათისათვის, ზედმეტია, უკურდლლოთაც შეუტლია: ამ აბრას სარდათვში ჩატყუებული მუშტარი ვაართოს, მაგრამ რა გაეწყობა. ეს არის სურვილი ფულზე მაღა გახსნილი მიკიტანის და იმ ხალხის, რომელიც ხელოვნებაზე მაშინ ფიქრობს, როცა ღვინოს დალევს და სურათს შეხედავს. კურდლელი ჭუთუოდ საჭიროა. ეკონომიკა ფანტაზიის და გარდა

ამისა ეს არის „ხმა ერის“ რომელიც მიკიტანს, ნიკოლა
კოს და სარდაფს აცოცხლებს და აცხოვრებს.

ნიკოს არ შეეძლო არ დამორჩილებოდა ასეთ
მოთხოვნებს რაღან მხატვრობა იუთ მისი ბუნება,
მხატვრობით სუნთქვავდა. თუ ხშირად ეს სუნთქვა იუთ
შეამიანი და მას სიცოცხლეს უმწარებდა ამაში დამ-
ნაშავე იუთ ისევ ის ნიჭი რომელიც მას „ბოროტ
სულათ“ აწვა და რომელსაც ვერსად ვერ გაექცეო-
და. თუმცა სცადა გაქცეოდა „ბოროტ სულს“, მაგრამ
სადაც წავიდა თან გაჰყვა: ვერც რკინის გზის კონ-
დუქტორობამ უშველა და ვერც მერძეობამ ბაზარ-
ზე. საბოლოოდ ისევ თავის თვალებს მიენდო. ანა-
ლოგიური მოვლენები მრავალია, განსაკუთრებით
ჩვენს მწერლობაში. ბარათაშვილს და ვაჟას რომ თა-
ვი დავანებოთ ყაზბეგის მაგალითიც კმარა. ა. ყაზ-
ბეგმაც ხომ სცადა ამნაირი „გაქცევა“. ერთ დროს
პეტერბურგის მთავარმა პეტერბურგის მთიულე-
თის სოუელთან, — აჩხოტში გამოაკრა აბრა:

„Торговля Алек. Казбека здесь продается
водка и вино“. და ისიც ხომ ვიცით თუ რა ძვირად
ღაუჯდა ყაზბეგს ეს „ვაჭრობა“. მისმა ნიჭმა დაკარ-
გულ დროს ანაზღაურება მცირე ხანში მოითხოვა
და ამ მოთხოვნის შესრულებამ ყაზბეგი საგიუვეთაშ-
დე მიიყვანა. თითქმის ასეთსავე მოვლენასთან გვაჭ-

საქმე როდესაც ფიროსმანაშვილის ცხოვრებას ვუპ-
ნობით.

ნიკოს სურათებს რომ უყურებთ, გრძნობთ რომ
ერთნაირად გაცოცხლებულია და მთავარ ასახული:
კახელი თავადი და გლეხი, საჩხერელი მეღვინე, ყან-
ტი და ტიკი, ინტელიგენტი და ჩოხოსანი, მამალი და
ცხენი, წყნეთელი მენახშირე, რაჭველი მეკურტნე.
ზანტი კამეჩი, უთვისტომო მეეზოვე, ორთაჭალის
როსკიპი, მალაკანი კოლონიიდან, „ალდგომის ბატ-
კანი“, არლანი და ყარაჩოლელი. ლაქია და ფრაკი.
მისთვის, კახეთის სინოყივრე არის მასალა, საქარ-
თველო — თემა. თვალ გადგმულია შავი ზღვიდან
აზერბეიჯანამდე.

ფიროსმანაშვილი მოხვედრილია მიკიტნებშა.
სარდაფებში, „ალდგომის ბატკნებთან“, ორთაჭალის
როსკიპებთან, თავადის გამუღმებულ ქეითთან, კა-
ხეთის ვენახებთან და კურტნიან მუშებთან. რასაც
ხედავს თავისებურად განიცდის, — განიცდის და ხა-
ტავს ასევე თავისებურად. ამ თავისებურებაში არის
ის სიღიღე რომელიც ფიროსმანაშვილს ახასიათებს.

ზოგიერთებს ეს თავისებურება პრიმიტიულობათ
ეჩვენებათ და ნიკოს პრიმიტივისტ მხატვართა ჯგუფს
აკუთნებენ. ამით, რასაკვირველია, სცდილობენ დიდ
ხელვის ოსტატს უცოდინარობა დასწამონ, მაგრამ



მათ ავიწყდებათ რომ პრიმიტიული ცხოვრების და
ყოფის ხატვა არ ნიშნავს მხატვრის პრიმიტივისტო-
ბას. საქმე იმაშია თუ როგორ ხმარობს მხატვარი მა-
სალას, საღებავს და ხაზებს.

როდესაც ასე შევხედავთ ფიროსმანაშვილს —
მისი სურათები პრიმიტივისტ კრიტიკოსებს დასცა-
ნიან.

ბევრს კიდევ ჰგონია, რომ რაღან ერთი ჭიქა
არაყისათვის ზოგჯერ კედლებს ხატავდა და ისიც
მცირე დროში, ამიტომ ის იყო პრიმიტივისტი. აქ
ხომ ნიჭით „გაგიუებულ“ და თავდავიწყებულ ხე-
ლოვანთან გვაქვს საქმე და არა პრიმიტივისტთან,
ამიტომ ასეთი მოსაზრება ყოვლად უაზროა და უსა-
უძვლო.

ნათქვამის უფრო სიცხალისათვის ვნახოთ რას
ნიშნავს „პრიმიტიული მხატვრობა“. ეს საჭიროა ვი-
ცოდეთ, რაღან პრიმიტიულ მხატვრობას, ფორმა-
ლურ ძიებას და ძიების შეღეგს საგნის ცოცხლად
გაღმოცემისათვის ხშირად ერთმანეთში ურევენ.

როდის შეიძლება ნახატს დაერქვას პრიმიტიუ-
ლი. პრიმიტიული დაერქმევა უმთავრესად სამ შემ-
თხევაში:

1. ბავშის ნახატს;
2. უნიჭო მხატვარის ნახატს;
3. განზრახ გაუბრალოებელ ნახატს.



ბავშის ნახატი მოკლებულია საგნის ცოცხლისადან
და თავის დამახასიათებელ მომენტში გაღმოცემას,
უნიჭო მხატვარის ნახატი თავისი შესრულებით არის
პრიმიტიული. განზრახ გაუბრალოებელი სურათი
ტენდენციურია წინასწარი მოსაზრებით, ასეთ შემ-
ოხვევაში შემომქმედი მოწყვეტილია პირველყოფილ
სიცხადეს.

არც ერთი აქ დასახელებული, დამახასიათებელი
თვისება პრიმიტივისტობისა, ფიროსმანაშვილის სუ-
რათებს არ მოაღვება. მისი ნახატები, თავისი სიცოც-
ხლით და გეომეტრიზაციით, შეუდარებელია, ყო-
ველ მის ხაზს და ფერს ატყვია ღიღი ოსტატის თვა-
ლი და ხელი. ფორმალურ ძიებაზე ხომ ლაპარაკიც
ჩეტია. ეს ძიება მხატვრობაში შეუძლია მხოლოდ
იმას ვისი ნიჭიც არ კმაყოფილდება არსებულით და
შეგნებულათ და უამიზნულად გარდაქმნის კანონებს
ეძებს. ასეთი მხატვრობა უფრო გონებიდან მოდის
ცადრე თვალიდან და განცდებიდან. ფიროსმანაშვი-
ლის ფორმალ ძიებაზე ლაპარაკიც მეტია იმდენად
ცვიურია თავის შემოქმედებაში.

ფიროსმანაშვილის შემოქმედება უფრო პანტეიოს-
ტურია და მეტაფიზიკას მოკლებული. ხატვის საკუ-
თარი მეთოდით მოგვაგონებს საფრანგეთის რევო-
ლიუციინურ ოსტატებს (1910-1917 წ.წ.) და მისი შე-



მოქმედების ტეხნიკა, განსაკუთრებით საგნების რომელი კესტროვკის დროს, — რამოდენიმედ არის კინო ტესტის ჯრთ-ერთი პრობლემა.

ნიკო საგანს იჭერს იმ მომენტში როცა ის (საგანი) ყოველ მომენტზე უფრო ააშკარავებს თავის თავს. ოსტატი საგნებს ხატავს ქართული თვალით თუმცა დანახულის ასახვა საერთაშორისო მხატვრულ მიღწევებში გადადის.

დიდი ოსტატი ხედვის, ფუნჯის ერთი მოსმით უწყვეტს გეომეტრიზაციის პრინციპებს. ეს არის ტალანტის განსაკუთრებული თვისება, ამიტომ ფიროსმანაშვილი უპირველესად არის მხატვარი, შემდეგ ქართველი (ეტნოგრაფიული გაგებით). სხვაგან და სხვა თემებით ასეთივე ძლიერი დარჩებოდა. ამის საბუთია მისი პორტრეტები და ცხოველების სურათები.

უიროსმანაშვილის სურათები არის ნატურილიზმისასთან მისვლა და არა მხატვრობიდან ნატურასთან. რომ უფრო გასაგები გახდეს ეს დებულება საჭიროა მცირე განმარტება. როდესაც ხშირად ჟენერატორი საგნებს და ნივთებს, — მათი დანახვა უკვე შეუძლებელი ხდება ჩვენთვის. დანახვა კი ნიშნავს იმ ძირითადი თვისების აღმოჩენას რითაც ხასიათდება ან განსხვავდება ესა თუ ის საგანი ან ნივთი ერთეულის მისამართის განვითარების მიზანით.

თი მეორესაგან. ფიროსმანაშვილი სწორეთ ნიშანული
ღობილ თვისებებში ხედავს საგნებს და ნივთებს და
ასევე უჩვენებს მაყურებელს.

ამით აიხსნება ის მეტად თავისებური მოვლენა
რომელსაც მუდამ შეამჩნევს დაკვირვებული მნახვე-
ლი ფიროსმანაშვილის სურათებში. როდესაც სურა-
თების შემდეგ ნახვას ცხოვრებაში იმ საგნებს და
ნივთებს სურათებზე რომ იყო — რჩება ისეთი
შთაბეჭდილება თითქოს ამ საგნებს და ნივთებს პირ-
ველად ხედავს, თითქოს ხელ ახლა აღმოაჩინა და
შეამჩნია ის თვისებები, რომელიც მისთვის შეუმ-
ჩნეველი იყო სურათების ნახვამდე. აი ის აღა-
მიანები რომლებსაც ყოველდღე ხვდებოდა მავ-
რამ ვერ ხედავდა. სურათზე ნახვის შემდეგ კი იცნო
და დასანახი შეიქმნა მათი თავისებურობანი. ამას
ხელს უწყობს კიდევ ის გარემოება რომ ნიკო ცდი-
ლობს დახატოს საგანი ან ნივთი ისე, როგორც მას
იცნობენ და არა ისე როგორც მას ყოველდღიურო-
ბაში ხედავენ.

აქ არის ფიროსმანაშვილის გენიალობის ერთ ერ-
თი ხაზი. სხვათა შორის, ასეთი მიღვომა საგნისა და
ნივთისაღმი სათუძვლად დაედო კუბისტურს და სა-
ერთოდ თანამედროვე მხატვრობის გაგებას. ამ შემ-
თხვევაში ფიროსმანაშვილი ხორცეულად ენათესა-

უება იმ მხატვრობას რომელზედაც ფეხი შემოდგა
შემდეგ იმპრესიუნიზმა უუტურიზმა და კუბიზმა.

ნათქვამი რომ ნათელი გახდეს, გაღავხედოთ ძიების და სიახლის (ხელოვნებაში) ქვეყანას — საურან-გეთს.

ვინც ფიროსმანაშვილის შემოქმედებას ეხება, თითქმის ყველა აღნიშნავს მის შემოქმედების მსგავ-სებას საფრანგეთის მხატვრობასთან, მაგრამ მათი შე-დარება და აღნიშენა ზოგად სიტყვიერებას არ სცილდება. ფიროსმანაშვილის სურათებზე ამბობენ: „დიდის კომპოზიციით არის გამართული, უმძაფრე-სი სიცხოველით შეკუნთვილი“.

ფიროსმანის ნატიურმორტები... არ ჩამოუვარ-დება არც ერთ ნატიურ-მორტს სეზანისას“ ან კი-დევ, „ყველაფერი (ფიროსმანაშვილის სურათებზე ლაპარაკი) გვაგონებს ოსტატების დერენის და მატი-სის მიღწევებს *). ცხადია ასეთი ზოგადი თქმები ფიროსმანაშვილზე არაფერს ამბობს არსებითად. რას ნიშნავს „დიდის“, „უმძაფრესი სიცხოველით შე-კუნთვილი“, რატომ არ ჩამოუვარდება სეზანს, რად ავაგონებს დერენს ან მატისს. ამაზე ფიროსმანა-შვილის კრიტიკოსები პასუხს არ იძლევიან რაც გაუგებრობას ქმნის მკითხველისათვის.

*) „ნიკო ფიროსმანიშვილი“, სახელგამის გამოცემა.

შევეცდები განვმარტო ფიროსმანაშვილის *შემოქმედების ეს თავისებურებანი:*

მხატვარისათვის უპირველესია თუ როგორ განმარტავს ფორმას. სეზანმა ფორმის განმარტებისათვის პრაქტიკულად დაკავშირა გეომეტრიულა სხეულები „კონუსი“, „შარი“ და „კილინდრი“. ამით ღამტკიცა, რომ წელოვანი უნდა იყოს კარგი წელოსანიც. თავისი შემოქმედებით, სეზანი, ფორმის გაღმოცემის დროს, ამ ფორმულას ამტკიცებს. ფიროსმანაშვილი ამ ფორმულას ინსტიქტიურად გრძნობს საგნის ერთი ნახვით ან შინაგანი ჭვრეტით. ფორმის გაღმოცემის დროს ეს გრძნობა სხეულდება და საგანი გვეჩვენება „უმძალურესი სიცხოველით შეკუნთვილი“. სეზანი ფერებშიაც ამტკიცებს ამ ფორმულას და თავისი ნატიურ-მორტების ყოველ მიღმეტრს ფერით ავსებს. ფიროსმანაშვილი კი ნატიურ-მორტებში დეკორატორად რჩება.

ვინც საფრანგეთის რევოლუციონური მხატვრობით (1913-1917 წ.) დაინტერესებულა ის, პიკასოს შემდეგ, აუცილებლად მატისზე და მის მიმდევრებზე (ჯგუფი „ველურების“) შეაჩერებდა თავის ყურადღებას. მატისში არის ის უბრალოება და ძალაუტანებელი შემოქმედება, რომელიც ასე ახალი-სებს ფიროსმანაშვილის მნახველს.

მატისისათვის სურათი წარმოადგენს ერთ ჭთლაუნი, დეკორატიულ ზეგანს. ყოველი ფერი ამ ზეგანზე კუთარი სიცოცხლით არის ანთებული. მთლიანად კი შეხამებას, ანუ ფერადობას, არ ართულებს ტეხნიკური ვირტოუზობით.

ხშირად, ჟიროსმანაშვილისებურად, მატისი ფერის მაგივრად მასალას ხმარობს. მატისისათვის გარეგანი ილიუზია არ არის მთავარი. ის მუდამ ცდილობს გამონახოს რიტმი შინაგანი წონასწორობის, ფერების გარმონიის, და ამითი აცოცხლებს ტიპიური ფორმის ჩონჩხებს.

თითქმის ასევე მოქმედობს ფიროსმანაშვილიც: ხედვითი მთელი ძალა გადააქვს ტიპიური ფორმის, — ჩონჩხის ასაშენებლად. ამავე ღროს ახდენს ფერთა თავისებურ შეხამებას. ამ შეხამების შესახებ ჭვემოდ გვაქნება საუბარი.

ასე ხორცეულად ენათესავება ფიროსმანაშვილი იმ მხატვრობას, რომელზედაც ფეხი მოიდგა შემდეგ იმპრესიონიზმა, ფუტურიზმა და კუბიზმა.

ამ მსგავსების იქით ფიროსმანაშვილს რჩება საკუთარი ფერები და ტეხნიკური მიღწევანი სიუჟეტის გაშლაში.


მეტად დამახასიათებელია რომ, ფიროსმანაშვილს, შემოქმედების მთავარი ცენტრი, სახეების გაღმოცე-



მის დროს გადააქვს თვალებში. ისეთი ოსტატობია
აქვს შესწავლილი თვალების მოძრაობა და ამ მოძ-
რაობით გამოწვეული სხეულის გეომეტრიული
მდგომარეობა, რომ მაყურებელს შეუძლია მარტო
თვალების ნახვით საგანი მთლიანად წარმოიდგინოს.
ზოგჯერ გასაცვიფრებელ მიღწევამდე მიღის და გა-
ჯერებს, რომ ამაზე დიდი განცდა მთავარის გადმო-
საცემად შეუძლებელია. (იხ. სურ. 1 ბავშებიანი დე-
დაკაცი წყალზე მიღის). მატისიც ასე განიცდის გა-
რემოს: წერტილებს ჩასვამს თვალებათ, მხოლოდ ისე
მოხერხებულად, რომ ვერც ერთი რეალისტი (უკეთ
ნატურალისტი) წლობით რომ წვალობს თვალების
გადმოცემაზე, იმის სურათის სიცხოველემდე ვერ
აღწევს.


ამრიგად, ჩვენ უკვე გავარკვიეთ თუ როგორ
ენათესავება ფიროსმანაშვილი ევროპის რევ. მხა-
ტვრობის პირველ პერიოდს ფორმათა მშენებლობა-
ში. გაკვრით აღვნიშნეთ რომ ასეთი მხატვრობა სა-
ფუძვლად დაედო შემდეგში იმ ახალ მიმართულე-
ბებს, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ. ეხლა ვნა-
ხოთ ფიროსმანაშვილის სურათებში არის ჩანასახი
ამ მიმართულებების თუ არა. ეს უნდა მოვნახოთ,
თუმცა, რასაკვირველია, არა მათი დამთავრებული
სახით. მართალია ვამბობთ „უნდა მოვნახოთ“ მაგ-

რამ მონახვა ამას არ უნდა, ისე აშკარა და ისე ცუდია
დია ოდნავ განვითარებული თვალისათვის ამ შიმარ-
თულებების ჩანასახი ფიროსმანაშვილის შემოქმედე-
ბაში. სიცხადისათვის დააკვირდით სურათს „რაჭვე-
ლების ქეითი“ (იხ. სურ. 5). ხატვის წმინდა იმპრე-
სიონისტული მანერა აქ ბოლომდის დაცულია და ისე
ნიჭიერად, რომ ვერც ერთი იმპრესიონისტი, რომე-
ლიც სცდილობს რაც შეიძლება ლაკონიური და და-
მახასიათებელი ხაზები აღმოაჩინოს საგნებში, ასე
კარგათ ვერ აღწევს მიზანს როგორც ფიროსმანაშვი-
ლი. აქ, თვით კომპოზიცია ისე სხარტლათაა მოკვე-
თილი რომ რუსთაველის სტრიქონს გვაგონებს. ზო-
გიერთ სურათში, ფიროსმანაშვილი კიდევ უფრო
ახლო მოდის თანამედროვეობასთან და ხაზები კუ-
ბისტურ ნაკვეთებში გადააქვს. ინსტიქტიურად
გრძნობს გორიზონტულურ პერსპექტივის სიტლან-
ქეს და სცდილობს ვერტიკალურ ხედვაში მოა-
თვსოს ზეგანზე საგნები. (მაგ. სურ. „ქალი ძრო-
ხას წველის“) ეს არ არის დამთავრებული კუბიზ-
მი. მაგრამ ვისაც უნახავს პიკასოს პირველი პერიო-
დის შემოქმედება ის თავისუნებურად შეამჩნევს
მსგავსებას ფიროსმანაშვილის შემოქმედებასთან.
ასევე ჩანასახ ფორმებში არის მოცემული ფირო-
სმანაშვილის ფუტურისტული მხედველობაც. ამ აზ-



რმა შეიძლება ბევრი გააკვირვოს მაგრამ გასაჭრილობა ვალი იქნება მხოლოდ იმ ხალხის მხედველობის და მხატვრული აღღოს სისუსტე ვინც ბევრს ლაპარაკობზა ფიროსმანაშვილის სიღიღეზე, მისი ეტნოგრაფიული სურათების მიხედვით, და ის კი ვერ შეაძინიეს თუ საღ იყო მართლა დიდი ფიროსმანაშვილი. მე ვლაპარაკობ ჯერ გამოუქვეყნებელ და ამ წიგნაკში მოთავსებულ სურათზე „მზარეული“. (იხ. სურ. 6). ეს სურათი, ისევე როგორც „შამილი და მისი მცველი“ მრავალ მხრივ არის შესანიშნავი. როგორც სჩანს ოსტატის თვალს ძალიან უმოძრაოდ და არა პროპორციულად მოჩვენებია მზარეულის ზედმიწევნით. მოძრავ და სწორად ნაგებ სხეულზე, დიდი დანის პატარა ტარი. დიდმა ოსტატმა აქ იხმარა ფუტურისტული დინამიურობის ხერხი: დანის ტარი გამრავლა და ამით შექმნა როგორც მეტი მოძრაობა ისე პროპორციული სრულ სახეობა. საგანთა და ნივთთა სახეობის გამრავლება, მეტი დინამიურობის მიზნით, ეს ხომ პრინციპია ფუტურისტული მხატვრობის და ეს პრინციპი დიდ ბუნოვან ასტატს ინსტიქტიურად უგვრძნია.

პსეთსავე სიმახვილეს იჩენს თანტაზით შექმნილ სურათებში. ამ მხრივ ფიროსმანაშვილის შემოქმედება იმდენად თანამედროვე უკეთ, მომავლის არის,



რომ გაუგებარი დარჩება თუ კარგათ არ იქნა ^{შესულია} ^{განვითარებული} წავლილი მისი, რეცისორული კინო-თვალი.

როცა შინაგანი ჭვრეტით არის საჭირო ხატვა, ყველგან ხედავს იმას რაც მთავარია. დროს, სივრცეს და პერსპექტივას თავის სურვილებს უმორჩილებს, ამით ქმნის დროის, პერსპექტივის და სივრცის თავისებურ, მხატვრულ, გაგებას, (ესეც ერთ ერთი თვა-სებაა ახალი მხატვრობისა). შემოქმედების დროს მასი ტვინის ლაბორატორიიდან ისე გადმოდიან საგ-ნები და ნივთები ტილოზე (უფრო ხშირად მუშაბ-ბაზე და თუნუქზე), როგორც კარგი ოპერატორისა-გან გადაღებული სურათები. ყველა გამოსულ ნეგა-ტივს თავის აღვილზე ათავსებს გასაოცარი პრო-პორციით. არღვეს აკადემიურ მხატვრულ კანონებს და ქმნის საკუთარს. საბოლოოდ ქმნის მოწაფეოთ შეკრულ სურათ-სანახაობას. (იხ. სურ. 2 და 3). ამ თავისებური ხერხებით განსხვავდება ფრესკების კლა-სიკებიდან.

როგორც კინო სურათში ვერ გაიგებ — თუ, საი-დან არის გადაღებული ესა თუ ის საგანი ან ნივთი, — ისე გაუგებარია თუ მხატვარი რომელი წერტილიდან ხედავს გარემოს. ვისაც შემთხვევა ექნება სანიმუშოდ შეუძლია დააკვირდეს სურათს „კალო ქართლის სო-ფელში“. აქ, მხატვარი, სხვადასხვა წერტილიდან უყუ-

რებს საგნებს. თვითონ ტრიალებს კალოსავით და
ზედმიწევნითი გეომეტრიულობით და მთავარის ახალი
ხვით (ამით განსხვავდება ფოტოდან) ქმნის საგნების
მთლიან ილიუზიას. ან კიდევ სურათი: „თავად ბა-
რიატინსკის შეთე გზას უჩვენებს შამილის დასაჭე-
რად“. წინა ხაზზე დახატულია მთელი „როტა“ და
მათი ცხენოსანი ოფიცერი ისე როგორც ეს უნდა ყო-
ფილიყო უკანა ხაზზე პერსპექტივის დაცვის დროს.
თვითონ ბარიატინსკი და შეთე უკანა ხაზზეა წინა ხა-
ზის სახით, მაგრამ არამც თუ შეუსაბამობას, — დიდ
მხატვრულ მიღწევას ააშკარავებს. ამავე ოსტატობით
არის გაკეთებული სხვა მრავალი სურათი. ამ მრა-
ვალთა შორის ყველაზე უფრო ნათლად და გასაგე-
ბად გაღმოგვცემს იმას რაც ვთქვით „შამილი თავის
მცველით“. ეს პირდაპირ კინო კადრია ყოველგვარ
აკადემიურ ვირტუოზობას მოკლებული და იმავე
დროს მხატვარის შინაგანი ჭვრეტის გასაოცარი ნით
მუში.

ღმინდა მხატვრობა.

აქამდე, ჩვენ ვლაპარაკობდით ფიროსმანაშვილის
მხატვრულ ოსტატობაზე. აღვნიშნეთ თუ, რა სიძ-
ლიერით გაღმოგვცემს ის ფორმას და საგნის ან ნივ-
თის შინაგან რაობას, ე. ი. საგანს ან ნივთს თავის

თავად — დამახასიათებელ თვისებებში. თუ როგორ
ენათესავება ის თავისი ოსტატობით ევროპის მე-
მხატვრობას.

მაგრამ, მარტო ამ მხრივ რომ იყოს უიროსმა-
ნაშვილი დიდი ოსტატი ამით კიდევ არ გვექნებო-
და უფლება მისთვის გვეწოდებია დიდი მხატვარი,
რაღაც მხატვრობა დღევანდელი გაგებით, ის არ
არის რასაც ჩვეულებრივად გულისხმობენ ამ სიტ-
ყვაში. გარემოს ასახვა (სახვითი ხელოვნება) ეს იყო
მიზანი წარსული მხატვრობის, დღეს კი ირკვევა, რომ
გარემოს ასახვა ერთია და მხატვრობა მეორე. მხა-
ტვრობა უფრო ფერთა მშენებლობას ნიშნავს, ვიდ-
რე რეალულ ფორმათა ფერადულ და გეომეტრიულ
განმეორებას. ასე რომ, დღევანდელი გაგებით, თვით
ფერთა მშენებლობა არის „თემა“ მხატვრობის. თვით
ფერთა „ქმნა“ არის მთავარი დანიშნულება მხა-
ტვრობის და არა, რეალური სინამდვილის განმეო-
რება.


სინამდვილეში ეს იმას ნიშნავს, რომ ნამდვილი
ნახატი ღირებულია თავის ფერთა შეხამებით, ჩრდილ
სინათლის განაწილებით და არა თემით.

პირველი შეხედვით ეს შეიძლება გადაჭარბებუ-
ლად მოეჩვენოს მკითხველს, მაგრამ თუ გავითვა-
ლისწინებთ იმ მნიშვნელობას, რომელიც მიკუთვნე-

ბული აქვს ფერს ჩვენს ცხოვრებაში, მაშინ აღვილი
წარმოსადგენია აბსოლუტურ მხატვრობის მნიშვნელობა მხატვრული ნიჭის შესაუასებლად.

ხშირად და ჩვეულებრივად ფერებს ვაკუთვნებთ
იმას რაც ჩვენ თითქოს წარმოუდგენლად მიგვაჩნია.
ვამბობთ: მსუბუქი, მძიმე, ცივი, მხურვალე, მოსაწყენი,
მხიარული, სამგლოვიარო, ოევოლიუციონური,
კონტრრევოლიუციონური და კიდევ მრავალ-
ნაირი ფერი. ეს ფერის ფსიქო-ფიზიკური მნიშვნელობა
მჭიდროთაა დაკავშირებული ფერის ბიოლო-
გიურ ფუნქციასთან და ფერების შესწავლა მათა
ბიოლოგიური ფუნქციების გამორკვევის გარეშე იქ-
ნება ზერელე და მხატვრობის საქმისათვის უმნიშვნელო. ამ ფუნქციების გამორკვევა მოითხოვს სპე-
ციალურ შრომას და ხანგრძლივ ანალიზს. ეს არის
ცალკე თემა და მისი გაშლა ამ პატარა წიგნაკში
შეუძლებლად მიმაჩნია.

აქ მინდა მხოლოდ გადაჭრით განვაცხადო რომ
ფიროსმანაშვილის სიღილე და მისი მხატვრული ნი-
ჭი უმთავრესად ფერთა მშენებლობით აშკარავდება.
ფიროსმანაშვილის ფერთა მგრძნობელობა იმდენად
ასალია, თავისებური და მხატვრული გემოვნების გა-
მომხატველი, რომ მისი ფორმათა მშენებლობის და-
დი ასტატობა ამ ფერთა შეხამების ოსტატობასთან



ბული აქვს ფერს ჩვენს ცხოვრებაში, მაშინ აღვიღოთ წარმოსადგენია აბსოლუტურ მხატვრობის მნიშვნელობა მხატვრული ნიჭის შესაუასებლად.

ხშირად და ჩვეულებრივად ფერებს ვაკუთვნებთ იმას რაც ჩვენ თითქოს წარმოუდგენლად მიგვაჩნია. ვამბობთ: მსუბუქი, მძიმე, ცივი, მხურვალე, მოსაწყენი, მხიარული, სამგლოვიარო, ოევოლიუციონური, კონტრრევოლიუციონური და კიდევ მრავალნაირი ფერი. ეს ფერის ფსიქო-ფიზიკური მნიშვნელობა მჭიდროთაა დაკავშირებული ფერის ბიოლოგიურ ფუნქციასთან და ფერების შესწავლა მათი ბიოლოგიური ფუნქციების გამორკვევის გარეშე იქნება ზერელე და მხატვრობის საქმისათვის უმნიშვნელო. ამ ფუნქციების გამორკვევა მოითხოვს სპეციალურ შრომას და ხანგრძლივ ანალიზს. ეს არის ცალკე თემა და მისი გაშლა ამ პატარა წიგნაკში შეუძლებლად მიმაჩნია.

აქ მინდა მხოლოდ გადაჭრით განვაცხადო რომ ფიროსმანაშვილის სიღიღე და მისი მხატვრული ნიჭი უმთავრესად ფერთა მშენებლობით აშკარავდება. ფიროსმანაშვილის ფერთა მგრძნობელობა იმდენად ასალია, თავისებური და მხატვრული გემოვნების გამომხატველი, რომ მისი ფორმათა მშენებლობის დაღი ოსტატობა ამ ფერთა შეხამების ოსტატობასთან



შედარებით, იჩრდილება. ჯერ არათერი ტექსტული საერთოდ ფიროსმანაშვილის ფერების და ამ უერების ბიოლოგიის შესახებ. ამიტომ, ძნელია ამ საკითხის გარშემო ლაპარაკი. ამას კიდევ უფრო ართულებს სრული უცოდინარობა იმ მუშაობის რომელიც დიდ ოსტატს უხდებოდა ფერების შეზავების ღროს. მეტად საგულისხმოა, რომ ნიკოს ზოგი საღებავები სიღნაღილან მოჰქონდა, როგორც ამას აღნიშნავს ფიროსმანაშვილის ბიოგრაფიაში ტ. ტაბიძე. თუ ეს მართალია, მაშინ, უფრო გასაგები ხდება ის თავისებური სხიოსნობა რომელსაც ნიკოს საღებავები გამოსცემენ. როდესაც ფიროსმანაშვილის უერებზე გვიხდება ლაპარაკი უთუოდ უნდა მოვიხსენიოთ ის მასალა რომელზედაც ხატავდა და რომელიც ხშირად საღებავის როლს ასრულებდა. ეს იყო თუნუქი და ფერადი (უმთავრესად შავი) მუშამბა. ამ მასალას ფიროსმანაშვილი მეტად დახელოვნებულად იყენებს. ზოგჯერ, მთელი სურათის ნახევარი, მასალის ფერია და ნახევარი კი ნახმარი ფერი. (იხ. „მზარეული“) მეტად საგულისხმოა რომ ფიროსმანაშვილი დიდი სიყვარულით ეკიდება რუხ ფერს საიდანაც ქმნის დაუსრულებელ სხვადასხვა ტონს. მისი რუხი ფერის ტონალობა შავი, თეთრი და მწვანე უერებიდან იქმნება. ეს სიყვარული შავ-თეთრ-მწვანე და

აქედან რუხი ფერისა, შემთხვევითი როდია. ვინც
დაკვირვებით ხედავს თანამედროვეობას, — ამ ფერის
რეპის სიჭარბეს შეამჩნევს. ქალაქს და ინდუსტრიას
მოაქვს დაუსრულებელი და აჩქარებული მოძრაობა.
ამ მოძრაობაში ყველა ფერი ირევა, არევა კი ჰქმნის
ერთს, რუხ ფერს; შავი და თეთრი, ეს დაუსრულებე-
ლი მასალაა თანამედროვე ქალაქის ფერადობისა და
ამ დაუსრულებელი მასალიდან ხომ მთელი მხატვრუ-
ლი ესთეთიკა შეიქმნა, — ესთეთიკა ეგრედ წოდე-
ბული „უსაგნო“ მხატვრობისა. ცხადია, მომავალში,
რაც უფრო განვითარდება ინდუსტრია, რაც უფრო
გაიზრდება მოძრაობა, მით მეტ ორგანიზაციულო-
ბას შეიძენს რუხი უერი და შორს არაა ის დრო რო-
დესაც რუხი ფერი გახდება ფუძე და ორგანიზა-
ტორი სხვა ფერებისა. როდესაც ამ მომავლის თვა-
ლით ვხედავთ ფიროსმანაშვილის ფერებს და მათ
შეხამებას, სრულიად მისაღებად მიგვაჩნია მომავალი
ფერადობისათვის. იმ ფერადობისათვის რომელიც
საჭირო იქნება ელექტროტექნიკური ინდუსტრიისა-
თვის.

ფიროსმანაშვილის ფერთა შეხამება სიტყვით
არ გაღმოიცემა, რაღაც ხედვის დიდი ოსტატი სრუ-
ლიად თავისებურ და უსახელო უერებს ქმნის, საჭი-
როა ამ ფერების და მათი ურთიერთ შორის შეხამე-



ბის დანახვა რომ, იგრძნო მეტად განვითარებული გემოვნების აღამიანი და ხელვის შეუდარებელი ოსტატი. იმდენად დახვეწილი გემოვნებით არის მონახული და შერჩეული ფერები ზოგიერთ სურათებში რომ „თემა“ „სიუჟეტი“ ამ შეხამებას თითქმის ხელს ჭრილის. (მაგ. „შოთა რუსთაველი“ „თამარ მეფე“ 70×100 *). ამ ფერთა შეხამების შესწავლა და ფირასმანაშვილის ფერების ბიოლოგიური ფუნქციების გამოკვლევა, — მომავლის თემაა.

ფიროსმანაშვილის სურათებზე საუბარი არ იქნება: სრული თუ არ აღვნიშნეთ ამ სურათების წმინდა ლიტერატურული ნაწილი. ლიტერატურას კი ძალიან დიდი აღგილი უჭირავს ფიროსმანაშვილის შემოქმედებაში. მე ვლაპარაკობ იმ წარწერების შესახებ, რომლითაც ის ამთავრებს თავის სურათების ორიგინალობას. თავისებური სისაღავით და ეპიური კილოთი არის გაკეთბული ეს წარწერები. ამ წარწერებით შეიძლება ახსნა თუ რა სიყვარულით განიცდიდა ოსტატი მასალას და თემას, თუ როგორ ხელშესახებად გრძნობდა განცდებს და სახეებს, რომ-

*) ეს სურათები დღემდე დაკარგულად ითვლებოდა. შემთხვევით აღმოვაჩინე კერძო ოჯახში. ეკუთვნის მოქ. ნადარეიშვილს.

ლებსაც ჰქონილა დასანახად. აქ არ მოვიყვან სანიტარიუმი
მუშა წარწერებს, რადგან ამ წიგნაკს თან ერთვის
ფიროსმანაშვილის სურათების კატალოგი. დაინტე-
რესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს ამ თავი-
სებურად გაკეთებულ წარწერებს. ამ წარწერების
უბრალოება უფრო თანდროული სტილია და მისი
სურათების ფორმათა მშენებლობის უდავო კომპო-
ზიციური ნაწილი *).

ფიროსმანაშვილმა ფუნჯის ერთი მოსმით ახალი
გზები დაუსახა მხატვრობას საერთოდ, და კერძოთ
ქართულ მხატვრობას. ამ ახალ გზებზე მავალს მუ-
დამ შეაჩერებს და ჩათვიქრებს ჯერ კიდევ ამოუცნო-
ბი, დიდი ოსტატის, ნიკოს თვალები.

*) ამ კატალოგის წარწერებიდან მხოლოდ ნაწილი
ეკუთვნის ფიროსმანაშვილს (იხ. „ნიკო ფიროსმანიშვილი“,
სახელგამის გამოცემა).